ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF LAGODEKHI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **92-922313818**
თარიღი: **18/05/2023**

ადრესატი: ჯუმბერ ბერიძიშვილი
პირადი ნომერი: 01001087235
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ჯაბიძის ქ N 14 , ბ-13

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი მიმდინარე წლის 08 მაისის N19/92231286-92 მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიას დამტკიცებული აქვს ,,მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის" პროგრამა, რომელშიც 2019 წლიდან გათვალისწინებული იქნა გარკვეული ცვლილებები, მათ შორის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მაცხოვრებელი მაღალი აკადემიური მოსწრების (91-დან -100 ქულის ჩათვლით) სტუდენტების წახალისება.

ამ პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მაღალი აკადემიური მოსწრების (91-დან 100 ქულის) მქონე სტუდენტებს, რომლებიც მომართავენ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამისი დოკუმენტაციით:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის (სტუდენტის) პირადობის ასლი

გ) საბანკო რეკვიზიტი

დ) ცნობა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლიდან ორივე სემესტრის (2022წ. შემოდგომისა და 2023 წ. გაზაფხულის) მაღალი აკადემიური მოსწრების შესახებ;

ვ) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა ,,ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ „

მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების წახალისების პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა:

2019 წელს შეადგენდა - 21 სტუდენტს

2020 წელს შეადგენდა -14 სტუდენტს

2021 წელს შეადგენდა-22 სტუდენტს

2022 წელს შეადგენდა -36 სტუდენტს

2023 წელს აღნიშნული პროგრამით ამ ეტაპზე სტუდენტებს არ უსარგებლიათ.

რაც შეეხება სტუდენტების წამახალისებელი პროგრამისათვის გამოყოფილ ბიუჯეტს გაცნობებთ რომ, 2019 წელს სტუდენტების წამახალისებელი პროგრამა გაერთიანებული იყო ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების ქვეპროგრამაში, რისთვისაც გამოყოფილი იყო 351 300 ლარი.

2020 წელს ამ პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 17 000 ლარს.

2021 წელს ამ პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 17 000 ლარი

2022 წელს ამ პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 115 000 ლარი

2023 წელს ამ პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 125 000 ლარი.

პატივისცემით,

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, ლაგოდეხი, 2700, 26 მაისის ქუჩა №25 ტელ: (354)22 30 20 ელ.ფოსტა: LAG_GAMGEOBA@YAHOO.COM LAGODEKHI, GEORGIA, 26 MAY STR №25 P/C 2700, TEL.:(354) 22 30 20 E-MAIL: LAG_GAMGEOBA@YAHOO.COM